[illegible]

საქარ-
თველო

მთავარი კომიტეტის ორგანო

ფასი 50 კაპ.
რაიონის გზებზე 60 კაპ.

№ 354 1918 წ. პარასკევი ნოემბრის 15. № 354

მოკავშირეებმა გერმანიას მოსთხოვეს მდ. რეინის მარცხენა ნაპირის სრულიად დაცლა ელზას-ლორენის და სტრატეგიულ პუნქტების გადაცემა, ტყვეების დაბრუნება, აუარებელი ვაგონები ჰაეროპლანები და სამხედრო ფლოტის ნაწილი. ბერლინში არეულობა ჩაქრა და ეხლა შედარებით სიწყნარეა. გერმანიის ხალხს ძლიერ მძიმედ მიაჩნია საზავო პირობები.

ღრმად დამწუხრებული იოსებ ზაქარიას ძე ქურდიანი აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ნოემბრის 12 ს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძვირფასი მეუღლე მისი

ნინო ალექსანდრეს ასული ქურდიანისა

პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს 5 საათზე, საკუთარ ბინაზე, ანჩისხატის ქუჩა № 5, დაკრძალვა მოხდება კვირას, ნოემბრის 17-ს, პეტრე-პავლეს სასაფლაოზე, ხოლო გამოსვენება ანჩისხატის ტაძარში დილის 10 საათზედ. 2385

თავზარ დაცემული მიხეილ ალექსანდრეს ძე მოლოდინი, თვისი მეუღლე თამარ იოსებ კორინთელის ასულით უზომო მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ნოემბრის 12-ს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაიცვალა პირველისა უსაყვარლესი და მანუგეშებელი და, ხოლო მეორისა სიყვარულით აღსავსე და დაუვიწყარი შვილი

ნინო ალექსანდრეს ასული ქურდიანი

პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს 5 საათზე, საკუთარ ბინაზე, ანჩისხატის ქუჩა № 5, გამოსვენება კვირას, ნოემბრის 17-ს, ანჩისხატის ტაძარში, დილის 10 საათ. 2385

12 ნოემბერს გარდაიცვალა

იორამ იოსების ძე ჯორჯაძე

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ნინო გიორგის ასული და შვილები, სოსო და ქეთევან ჯორჯაძეები. დაკრძალვა სოფ. საბუეში 16 ნოემბერს. 2386

მწუხარებით გულ-დათუთქული ტასო მათეს ასული, ამბროსი, შალვა და ქეთინა არჩვაძეები. გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, გიორგობისთვის 16 ს, გადახდილი იქნება შვიდის წირვა და პანაშვიდი ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, უდროოდ გარდაცვალებულის ძვირფასი და დაუვიწყარი მეუღლის პირველისა, ხოლო დანარჩენთა მამის

მინა (იგივე რომანოზი) გიორგის ძის არჩვაძის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, ხოლო პანაშვიდი 12 ს., ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. 2388

ღრმა მწუხარებით გულდათუთქულნი პაპა მღ. სოლომონ ბერიტაშვილი, დეიდები ანა და ელინე, ბიძა ევსეი და ძალუა ვალენტინა ბერიტაშვილები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ სოფ. მარტყოფში გარდაიცვალა საყვარელი ქალიშვილი პირველისა და დანარჩენის დისწული

ნინო ლონგინოზ ყანჩაველის ასული

დაკრძალვა შაბათს ნოემბრის 16-ს მარტყოფის სობოროს გალავანში.

უბედური მშობლები ლონგინოზ დავითის ძე და ვერა სოლომონის ასული ყანჩაველები, შვილები ქეთევან, ლადო და დათა უღრმესი მწუხარებით გულდათუთქულნი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობით გარდაიცვალა მათი საყვარელი პირველთა შვილი და მეორეთა და

ნ ი ნ ო

დაკრძალვა მოხდება შაბათს, ნოემბრის 16-ს, ს. მარტყოფში სობოროს გალავანში.

* * *

[illegible]

ვისაც რომ უყვარს ქვეყანა
ამირან გმირთა-გმირისა,
ვინც საქართველოს სვე ბედზე
ტარიელივით სტირისა,
ის დღეს ჩვენც დაგვეხმარება,
კვნესა-მე მისი ჭირისა!

ვისაც გულს ცეცხლი უნთია
და განცდა ძალუძს ტკბობისა,
ვისაც აღმოფხვრა სწადიან
კაცთა შურის და მტრობისა,
მოდით, აღვმართოთ ტაძრები
გონებისა და გრძნობისა!

ვინც უყოყმანოდ შეიძენს
ბილეთებს ლატარიისას,
ვინც ხელოვნებით სულდგმულობს,
ვინც რომ წყაროს ჰსვამს იისას,
ის იგრძნობს განცდის უტკბილესს
უშრეტ პოეზიისას!

ვისაც კი უყვარს აკვანი
ამირან გმირთა-გმირისა,
ვინც საქართველოს სვე-ბედზე
ზრუნავს და მისთვის სტირისა,
ის დღეს ჩვენს ბილეთს შეიძენს,
კვნესა-მე მისი ჭირისა!

განცხადება

ცენტრალური სასურსათო საბჭო (მადათოვის ქ. № 3, ყოფილი სასურსათო სამინისტრო) ამით აცხადებს საზოგადო დაწესებულებათა და კერძო პირთა საყურადღებოდ, რომ მსურველთ შეუძლიათ შეიძინონ ხსენებულ საბჭოში მარილის ბიანი მარილი დაწესებულ ფასებში.

მარილის მიღება შეიძლება ქ. ტფილისში და ქ ფოთში. 1411

სახელმწიფო თეატრი

შაბათს,
ნოემბრის 16-ს,

ო პ ე რ ა

ალეშკის, ბერეზინის და პალიაევის მონაწილეობით **სელსკაია ჩესტ** ოპერა 1 მოქმედებად, მასკანის მუსიკა.

შულგინას, ორდას და კანშინის მონაწილეობით **პაიაცები** ოპერა 2 მოქმ. ლეონკოვალოს მუსიკა.

ფასები თვალსაჩინოდ დაკლებულია.

დასაწყისი 8 საათზე (ძველის დრ.)

კვირას, ნოემბრის 17-ს დილით შვამბერგის, ბერეზინის და ნიკოლსკის მონაწილეობით **ფაუსტი**

საღამოთი **ბატერფლაი.**

დასის წარმომადგენელი ევლახიშვილი. 1397

ტფილისი, ნოემბერი 15.

ზავი და რევოლიუცია. ზავმა განსაკუთრებულს გარემოებაში მოასწრო გერმანიას. მთელი სახელმწიფო ძირიან-ფესვიანად გარდაიქმნა და მონარქიის ადგილს თითქოს სოციალისტური რესპუბლიკა იჭერს. მაგრამ ზავის პირობები, ეტყობა ძლიერ მძიმეა, რადგან მას ვერ ურიგდება ვერც ახალი მთავრობა, რომელსაც მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ომის დამთავრება. შინაური და გარეშე საქმეები ამჟამად გერმანიაში იმდენად გადახლართულია ერთმანეთში, რომ საჭიროა გათვალისწინება ერთისაც და მეორისაც [illegible], რათა ნათელი გახდეს ჩვენთვის გერმანიის ახლო მომავალი მაინც.

მკითხველებმა უკვე იციან, რომ გერმანიაში რევოლიუციაა, რომელიც გარეგნად რუსეთისას ძლიერ ემსგავსება: მეფის გადადგომა, მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოები, სახალხო კომისართა საბჭო... ყველაფერი ეს, რუსეთის ყოფილ ნაწილისათვის უკვე ნაცნობია. მაგრამ მიუხედავად გარეგანი მსგავსებისა, შეუძლებელია გერმანიაში რევოლიუციამ მიიღოს ისეთი მახინჯი სახე, ბოლშევიზმმა რომ გვაჩვენა რუსეთში. უპირველესად ყოვლისა აღსანიშნავია ერთი გარემოება: გერმანიამ საშინელი სისწრაფით განვლო რევოლიუციის ის ეტაპები, რაიც რუსეთში შედეგი იყო მხოლოდ აჯანყების და მეორე რევოლიუციისა. ყველას ახსოვს, რომ ამ უკანასკნელში რევოლიუციონურ მთავრობაში ერთად ერთი სოციალისტი კერენსკი იყო, დანარჩენი კი აშკარა იმპერიალისტები, რომელთაც რევოლიუციის გამარჯვება უნდოდათ ომის განსაგრძობად. ხოლო გერმანიაში არის კოალიციური სოციალისტური მთავრობა — უკიდურეს მემარცხენეებამდე. შეიდემანი და ჰააზე, ებერტი და დიტმანი დღეს ერთად არიან და ხალხიც მათ ძლიერ ორგანიზაციების გავლენის ქვეშ არის. ამიტომ ის იმედი, ამას წინად რომ გამოვსთქვით გერმანიის რევოლიუციის ჭეშმარიტ—სოციალისტურ მსვლელობაზე — უეჭველად მართლდება.

არის ერთი გარემოებაც, რაიც გერმანიის რევოლიუციას აყენებს ბევრად უფრო კარგ პირობებში, ვიდრე იყო რუსეთის რევოლიუცია. ტრაგედია რუსეთისა იყო ის, რომ მას უნდოდა შეერიგებინა ორი, არსებითად შეურიგებელი რამ: ომი და რევოლიუცია. ყველამ ვუწყით რომ შეუძლებელი იყო, რადგან როგორც გერმანიაში, ისე განსაკუთრებით რუსეთში — რევოლიუცია შედეგი იყო ომით უკმაყოფილებისა. ამიტომ გერმანიის ხალხი, ომის საშინელებისაგან განთავისუფლებული, უფრო ადვილად შესძლებს გააკეთოს ყველაფერი ის, რასაც რუსეთში სისხლის ღვრა და ბოლოს მომაკვდინებელი ანარქია მოჰყვა. გერმანიის ჯარი შინ დაბრუნდება, რადგან ზავი ჩამოვარდნილია და მას აღარ მოუხდება დეზერტირობა, ბრძოლის ველის მიტოვება და ამნაირად შექმნა იმ საშინელ უპასუხისმგებლობის, არევდარევისა, რომელმაც დაჰღუპა რუსეთის რევოლიუცია. ვიმეორებთ, ეს ყველაფერი საწინდარია იმისა, რომ გერმანია გარდაიქცევა ჭეშმარიტ დემოკრატიულ ქვეყნად და დღევანდელი შინაურ და გარეშე განსაცდელისაგან იგი გამოვა ჭეშმარიტად ხალხური, ახალ საფუძვლზე აშენებული გერმანია.

საზავო პირობები, ვიმეორებთ, ძლიერ მძიმეა გერმანიისათვის. გერმანიას დიდი ვალდებულება აწევება კისრად და იგი იძულებულია ყველა მოთხოვნილება მოკავშირეებისა დააკმაყოფილოს. მაგრამ რუსეთის გამოცდილებით განსწავლული გერმანიის ხალხი არაფერს დაერიდება, რომ მოიშოროს გარეშე საფრთხე, რათა შინაური წესი და მონაპოვარი შეინარჩუნოს. ძირითადი გარდაქმნა გერმანიისა და ხალხის ბატონობის განმტკიცება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ომი მოისპობა. ამ გზას გერმანიის დემოკრატია უკვე დაადგა. მან მიიღო თუმცა მძიმე, მაგრამ აუცილებელი პირობები ზავისა და შეუდგა სახელმწიფოებრივ შემოქმედებას. სოციალისტთა ბანაკში განხეთქილება მოისპო, უკიდურეს ფრთათა შორის მოხდა შეთანხმება და ჩვენ ვხედავთ, რომ გერმანიის ერის დისციპლინა, ენერგია და კულტუროსნობა, წინად რომ მონარქიას ემსახურებოდა, დღეს ემსახურება თვით ხალხს და მის ინტერესებს უზრუნველჰყოფს.

ი. თუმანიანის წერილის გამო

იმ მოშხამულ ატმოსფერაში, რომელიც სომხის ნაციონალისტებმა შექმნეს, იმ ცილისწამებისა და ღვარძლიანი ბოროტების ატმოსფერაში, რომელსაც სომხის ავანტიურისტები ჰქმნიდნენ, ბ-ნი თუმანიანის სიტყვა მშვიდობიანობის მოციქულის სიტყვად გაისმა. ეს, ალბად, რაოდენადმე იმითაც უნდა აიხსნას, რომ ბ-ნი თუმანიანი პოეტია და, როგორც პოეტს, არავითარი და არავისი თავისუფლება არა სწამს, თუ იგი ერთა სისხლში და ერთმანეთის გაუტანლობის ატმოსფერაში იქნება შობილი. პირველი და უმთავრესი ღირსება ბ-ნი თუმანიანის წერილისა ის არის, რომ იგი ლტოლვილთა საკითხს ჰხსნის ისტორიულად და დასასრულს ამ ეროვნულ უბედურებისას ხედავს იმაში, რომ სომხეთს საბოლოოდ გაეხსნება გზა განვითარებისა, გადაეშლება ფართო სახელმწიფოებრივი ასპარეზი, რომელიც დაიტევს არა მარტო ეხლანდელ ლტოლვილებს, არამედ იმ სომხებსაც, რომლებიც ისტორიულ პირობათა ზედ-გავლენით წინადაც იძულებული გამხდარან საქართველოს შეხიზნოდნენ.

ჩვენ მუდამ იმ აზრისა ვყავით და ეხლაც იმ აზრისა ვართ, რომ სომხეთის აღდგენა თავის ისტორიულ—ეთნოგრაფიულ ფარგლებში დიდი ბედნიერება იქნება არა მარტო თვით სომხეთისთვის, არამედ საქართველოსთვისაც. საქართველო რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ დარჩეს და სომხეთი კი, როგორც სახელმწიფოებრივი ერთეული, მოისპოს. საქართველო საშინელი ეროვნული ანტაგონიზმის ასპარეზად გადაიქცევა. სამკვიდრებელს მოკლებული სომხობა კვლავ სტიქიურად მოაწყდებოდა საქართველოს და საქართველო კი ამ გარემოებას ახსნიდა, როგორც სომხების ახალ შემოსევას.

ყოვლად შეუძლებელია ასეთი მდგომარეობა ეროვნული შუღლისა და მტრობის საბაბად არ გადაქცეულიყო. აი ამიტომ საქართველოში არ მოიძებნება არც ერთი ისეთი პოლიტიკური ჯგუფი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ რამდენიმე გამონაკლისს, რომელიც სომხეთის სახელმწიფოებრივი აღდგენის გულწრფელი მომხრე არ იყოს.

მეორე დადებითი მხარე ბ-ნი თუმანიანის წერილისა ის არის, რომ იგი სერიოზულ ანგარიშს უწევს ერთგვარ კულტურულ-ისტორიულ ტრადიციის ძალასაც. სახელმწიფოებრივი ტერიტორიის შემოფარგვლის დროს ყოვლად შეუძლებელია იმ ვიწრო საზომით ვიხელმძღვანელოთ, რომლითაც ჩვეულებრივად სომხის პოლიტიკის მესვეური წრეები ხელმძღვანელობდნენ. შეიძლება მე ვცდებოდე, მაგრამ ბ-ნი თუმანიანის წერილის დედა-აზრი ისე გავიგე, რომ, თანახმად ზემოხსენებული თვალსაზრისისა, ბ-ნ თუმანიანს შესაძლებლად მიაჩნია ახალქალაქის მაზრა და ლორი ერთნაირ რაიონებად ჩასთვალოს. ახალ ქალაქის მაზრას, თავისი ისტორიულ-კულტურული ტრადიციის ძალით, ქართველებისთვისა აქვს მნიშვნელობა, ხოლო ლორს—სომხებისთვის. აქედან ლოღიკური დასკვნაც უნდა გამოვიყვანოთ: სომხებმა ახალქალაქის პრეტენზიებზე უნდა განაცხადონ უარი, ქართველებმა—ლორზე. ადვილად შესაძლებელია მე ვცდები და ბ ნ თუმანიანს ისტორიულ კულტურული ტრადიციების ძალა მხოლოდ ლორზე ჰსურს გაავრცელოს, ხოლო ახალქალაქის მაზრა კვლავ სადავო მაზრად დასტოვოს. წერილის საერთო ხასიათი კი, ჩვენის აზრით, ისეთია, რომ ბ-ნ თუმანიანს ჰსურს აქაც ერთგვარი კომპრომისი გამონახოს და კომპრომისსა ჰხედავს, მოუხეშავად რომ ვსთქვათ, მაზრების გაცვლაში.

ჩვენ შეუძლებლად მიგვაჩნია საკითხის დეტალურად გამორკვევამდე კატეგორიული გადაწყვეტა ამ საკითხისა. განაპირა, მოსაზღვრე ტერიტორიების შემოფარგვლის დროს ბევრი მოსაზრება უნდა იყოს მიღებული მხედველობაში. ამ მოსაზრებათა შორის სტრატეგიულ მოსაზრებას უკანასკნელი ადგილი არ უჭირავს, ყოვლად შეუძლებელია საქართველოს აღმოსავლეთმა საზღვარმა ტრიალ მინდორზე გაიაროს და ჩვენი ქვეყანა იმ გაპარტახებულ ეზოს დაამსგავსოს, რომელსაც ჭიშკარი დიდი აქვს და გარშემო კი ღობე ყველგან მონგრეულია. მეორეს მხრით მხედველობაში უნდა იყოს მიღებული ერთგვარი ეკონომიური ნათესაობაც ამა თუ იმ კუთხისა თუ ყველა ეს პირობა დაკმაყოფილებული იქნება, რა თქმა უნდა ისტორიულ-კულტურული ტრადიციაც ამა თუ იმ ერისა უნდა დაკმაყოფილდეს და ეს გარემოება უთანხმოების საბაბად არ უნდა გადაიქცეს მეზობელ [illegible].

მიუხედავად ყველა ამისა, ბ-ნი თუმანიანის წერილი მაინც ყურადღებისა და თანაგრძნობის ღირსი მოვლენაა მას საკითხი გამოტანებული მსჯელობის ფარგალიდან დადებითი მშვიდობიანი მსჯელობის ფარგალში გადააქვს და ეს კი არ შეგვიძლიან დღევანდელ გამწვავებულ პირობებში სასიამოვნო მოვლენად არ ჩავსთვალოთ.

არ. ჯაჯანაშვილი.

მთავრობაში

ნოემბრის 12-ს მთავრობამ დაადგინა: გაეხსნას ტფილისის სახაზინო პალატას 9523 მანეთის კრედიტი ხაზინის მოსამსახურეთათვის ოთხ პროცენტიან საწუქრებისათვის დასარიგებლად და ეს თანხა ჩაირიცხოს სახელმწიფო დეპარტამენტის ხარჯთ-აღრიცხვაში.

—

უფლება მიეცეს მიწათ-მოქმედების მინისტრს, ნება დართოს მან, ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა სააქციონერო საზოგადოებას თავის წევრთაგან მადნებისა და მათზე მდებარე უფლებათა შესაძენად, რამდენადაც ეს ხელს არ შეუშლის აგრარულ რეფორმის განხორციელებას. მინისტრს უფლება აქვს თუ საჭიროდ დაინახავს, პარლამენტში შეიტანოს ამის გამო სათანადო პროექტი.

—

მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძეს მისი 20 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავად მომარაგების კომიტეტიდან უფასოდ მიეცეს ატელიეს ასაშენებელი მასალა.

—

გადაეცეს ტფილისის საეთნოგრაფიო საზოგადოებას ტფილისის ყოფილ სათ.-აზნაურო საკრებულოს არქივები. ამავე საკრებულოს ქუთაისის არქივი კი ქუთაისის საეთნოგრაფიო საზოგადოებას გადაეცეს.

—

გადაეცეს მიწათ-მოქმედების მინისტრს განოვის ქუჩაზე მდებარე შენობა თუ კი იგი არ გაიყიდა სასკოლო საჭიროებისათვის.

—

მიეცეს შრომის სამინისტროს თავის სხვა და სხვა დაწესებულებათა შესანახად 50,000 მანეთი, ამ უწყების ხარჯთ-აღრიცხვის ანგარიშში.

უკანასკნელი ცნობები

აკაკი ჩხენკელი

საქართველოს ელჩი გერმანიის მთავრობასთან აკაკი ჩხენკელი ბერლინიდან ბერნში გაემგზავრა, რათა მოლაპარაკება გამართოს შეთანხმების სახელმწიფოთა წარმომადგენლებთან საქართველოს შესახებ და გამოარკვიოს მათი დამოკიდებულება ჩვენს რესპუბლიკასთან.

რევოლიუციონური მოძრაობა იტალიაში.

ნეიტრალურ სახელმწიფოებიდან მიღებულ ცნობებით იტალიის მცხოვრებსა და ჯარში რევოლიუციონურმა მოძრაობამ იჩინა თავი. „ციურიხერ მორგენ ცაიტუნგ"-ს აუწყებენ ინსბრუკიდან რომ იტალიის ჯარში დეზერტირობა გაძლიერდა, იტალიის ჯარისკაცები აცხადებენ, რომ ზავი უკვე ჩამოვარდა და ამიტომ შეუძლიათ შინ დაბრუნდენ, როგორც ამას ავსტრიელები სჩადიან. იტალიის მესამე არმიაში ჯარის-კაცებმა უარი სთქვეს მორჩილებაზე. დეზერტირობამ განსაკუთრებით თავი იჩინა იტალიის მეექვსე არმიაში.

ზავის პირობები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

ინგლისური პრესა. 12, ნოემბერი. ლოიდ ჯორჯმა პალატაში გამოაქვეყნა დროებითი ზავის პირობები. ეს პირობები 8 ნაწილათ იყოფა: დასავლეთის ფრონტის, აღმოსავლეთის ფრონტის და საზღვაო. დასავლეთის ფრონტის პირობები ასეთია: გერმანელებმა დაუყოვნებლივ უნდა დასცალონ დაპყრობილი ქვეყნები: ბელგია, საფრანგეთი ელზასლორენი და ლიქსემბურგი; დაპყრობილ ქვეყნებიდან ძალით გაყვანილი მცხოვრებნი უკანვე უნდა დააბრუნონ: მოკავშირეებს უნდა ჩააბარონ 5000 ზარბაზანი, 30000 ტყვიის-მფრქვეველი, 3000 ნაღმის მტყორცნელი და [illegible]000 ჰაეროპლანი: გერმანიის არმიამ უნდა დასცალოს მდ. რეინის მარცხნით მდებარე ადგილები: დაცლილი ადგილები შეთანხმების სახელმწიფოთა ჯარმა უნდა დაიჭიროს; მანვე უნდა დაიჭიროს რეინზე გადასასვლელი ადგილები, სახელდობრ: მაინცთან, კობლეცთან და კოლომთან . (გაუგებარია) თითო ხიდი... (გაუგებარია). ერთს ალაგას რომლის რადიუსი უდრის 30 კილომეტრს და ამ ადგილებში მყოფ გარნიზონების მიერ 5000 ორთქმავალი, 50000 ვაგონი, 5000 ავტომობილი მოკავშირეთა სახელმწიფოებს უნდა გადაეცეს. დაჭერილ ადგილებში, საოკუპაციო ჯარის დაკმაყოფილება და ხარჯი, ელზას ლორენის გარდა. გერმანიის მთავრობამ უნდა იკისროს, ყველა სამხედრო ტყვეების დაუყოვნებლივ სამშობლოში დაბრუნება. აღმოსავლეთის ფრონტის პირობები შემდეგია; გერმანიის ჯარმა უნდა დასტოვოს რუსეთის, რუმინიის და ოსმალეთის ტერიტორია და ომამდე არსებულ საზღვარს იქით უნდა გადავიდეს: ბრესტლიტოვის, ბუქარეშტის და სხვა ხელშეკრულებათა სრული გაუქმება. საზღვაო პირობები შემდეგია: გერმანიამ უნდა აცნობოს მოკავშირეთ თუ სად დგას მისი გემები და ჩააბაროს წყალქვეშა ნავები, 6 სამხედრო გემი, 8 კრეისერი და 50 გამანადგურებელი გემი უნდა დარჩეს ნეიტრალურ ნავთსადგურებში, ან და მოკავშირეთა მიერ აღნიშნულ ნავთსადგურებში; ყველა დანარჩენ სამხედრო გემმა სავსებით უნდა აიყაროს იარაღი გერმანიის ნავთსადგურებში და მოკავშირეთა მთავრობის ზედამხედველობის ქვეშ უნდა იყოს; თავისუფალი მიმოსვლა ბალტიის ზღვაზე. ამ პირობათა უზრუნველსაყოფად მოკავშირე სახელმწიფოთ შეუძლიათ დაიჭირონ... (დამახინჯებულია); შავი ზღვის ნავთსადგურების ევაკუაცია და სავაჭრო გემების დაბრუნება.

საზოგადოების აზრი.

გერმანიის საზოგადოებრივი აზრი მთლიანად, განურჩევლად მიმართულებისა, დამოუკიდებელ სოციალისტებიდან დაწყებული მემარჯვენე ჯგუფამდე გრძნობს, რომ დროებითი ზავის პირობები, და სიმშილობის გაძლიერება პოლიტიკურ მოსაზრებით მიმართულია გერმანიის ხალხის წინააღმდეგ, რომელმაც ეს არის ახლა დაამხო მილიტარისტული მთავრობა და ხალხთა ლიგაში თანამშრომლობაზე და საყოველთაო ზავზე თანხმობა განაცხადა. ეს გრძნობა ერთნაირადაა გამეფებული გერმანიის ყველა ნაწილებში.

ორივე სოციალისტურმა პარტიებმა შემდეგი დეპეშა გაუგზავნეს ბრანტინგს სტოკჰოლმში, სტანდნინს კოპენჰაგენში და ტროელსტრას ჰააგაში: „სოციალისტური პარტია და დამოუკიდებელ სოც.-დემოკრატების პარტია ნეიტრალ ქვეყნების სოციალისტურ პარტიების ყურადღებას დაბეჯითებით მიაქცევს დროებითი ზავის პირობების შინაარსს, საიდანაც სჩანს, რომ მოკავშირეებს პოლიტიკურ მოსაზრებით სიმშილობის გაგრძელება და გაძლიერება სწადიათ. თუ ბლოკადა გაგრძელდა, თუ გერმანიის ნავოსნობის შეზღუდვა ასატანია, თუ 5000 ლოკომოტივი და 150000 ვაგონი უნდა გადავცეთ მაშინ, როცა ნახევარი უკვე უვარგისია, თუ უცხოეთის საოკუპაციო ჯარს სურსათი გერმანიის მოსავლიდან უნდა მიეცეს,—იმ შემთხვევაში გერმანიის ხალხის სურსათით დაკმაყოფილება შეუძლებელი ხდება. ამიტომ საერთაშორისო სოციალისტებს დახმარებას ვთხოვთ დროებითი ზავის მკაცრი პირობების შესაცვლელად, რომელიც იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა გვიკარნახეს და რომელიც დიდ ზიანს მიაყენებს გერმანიის სოციალისტური სახალხო რესპუბლიკის რევოლიუციონურ მასას. გიძღვნით ძმურ სალამს. სოც.-დემ. პარტიის დამოუკიდებელ სოც.-დემ. პარტიის თავმჯდომარეთა მაგიერ: ედუარდ ბერნშტეინი, ოსკარ კოინი, კარლ-კაუცკი, გერმან მოლკენბიური, გერმან მიულერი, მიულერი, ვილჰელმ პვინკუხი.

ბავარიის მიმართვა.

ბავარიის რესპუბლიკამ მოწოდებით მიმართა შვეიცარიის ფედერალურ საბჭოს და თან სთხოვა ეს მოწოდება გაუგზავნოს ვილსონს, საფრანგეთის, ინგლისის და იტალიის მთავრობათ და გაავრცელოს ის როგორც შვეიცარიის, ისე სხვა სახელმწიფოს მცხოვრებთა შორის: „ამერიკის, საფრანგეთის, ინგლისის და იტალიის მთავრობათ და ხალხს, მთელი ქვეყნის პროლეტარიატს. თუ საზავო პირობები უცვლელი დარჩა, იმ შემთხვევაში ახალი რესპუბლიკა უდაბნოდ და ქაოსად გადაიქცევა. ჩვენ გვესმის მოკავშირეთა გრძნობა, რომელმაც აიძულა ასეთი პირობების წამოყენება, თუ მათ სურდათ ამით დამნაშავეთა დასჯა.

გერმანიის თვითმპყრობელნი და მილიტარისტები შებრალების ღირსნი არ არიან. მაგრამ ახლა ხალხი განთავისუფლდა და ის პირობები, რომელიც განთავისუფლებულ ხალხს წაუყენეს, მის განადგურებას გულისხმობს. ამ მოთხოვნილებათა ძალაში დატოვება წარმოუდგენილ მდგომარეობაში ჩაგვაგდებს. (დასასრული არ მიგვიღია)

რევოლიუცია გერმანიაში

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

გერმანიის პრესა ნოემბრის 12-ს. ვარშავის და მის მის მიდამოებში მდგარ გერმანიის ჯარში, რომელთაც ერთმანეთთან კავშირი აქვთ ნოემბრის 11 შესდგა ჯარის-კაცთა საბჭოები, რომელიც საღამოს 6 საათზე მთავრობის შენობაში შეიკრიბა. ამ დროს სხდომაზე მოვიდა პოლონეთის სარეგენტო საბჭოს წევრი პოლკოვნიკი, რომელმაც განაცხადა, რომ სარეგენტო საბჭო გერმანიის ჯარს ყოველ გვარ სათრთხისგან გარანტიას მისცემს, თუ შეასრულებენ ზოგიერთ პირობებს (იარაღის გადაცემა). სხდომაზე მხურვალე ოპოზიციამ იჩინა თავი, რომელიც იმ აზრისა იყო, რომ პოლონეთის პოლიტიკურ მთავრობასთან ჯარისკაცთა საბჭომ არავითარი მოლაპარაკება გამართოს ამ საკითხზე. სარეგენტო საბჭოს წარმომადგენელმა პასუხი მიიღო, რომ ჯარისკაცთა და მუშათა საბჭო სასტიკ ნეიტრალიტეტს დაიცავს ყოველ პოლიტიკურ ტენდენციებისადმი და ეცდება რაც შეიძლება მალე დაბრუნდეს სამშობლოში, და მასთან ერთად პოლონეთში გაფანტულ და უკრაინაში მყოფ ჯარის დაბრუნება უზრუნველჰყოს, მთელი კრება ერთხმად წინააღმდეგია იარაღის გადაცემის წინადადების: მასთან ერთად აღნიშნეს, რომ მტკიცედ შეკავშირებული გერმანიის ჯარი საგრძნობ ძალა, წარმოადგენს, ასე რომ ჯარს არავითარი შიში არა აქვს. მუშათა კომიტეტმა დაადგინა შემდეგი: 1. სამხედრო ტყვეები რჩებიან თავიანთ ადგილზე და მუშაობას განაგრძობენ, 2. სამხედრო ტყვეები ნოემბრის 11 ს მიიღებენ სამუშაო ქირას, ისე როგორც გერმანიის მუშები, 3. ტყვეები ვალდებულნი არიან იმუშაონ ისე, როგორც მუშაობდნენ წარსულში, ვინც მუშაობაზე უარს განაცხადებს, მას ექნება უფლება სურსათი მოითხოვოს, 4. სამუშაოს მომცემნი ვალდებულნი არიაპირნათლად აასრულონ კონტრაქტები, 5, შეიარაღებული ზედამხედველობა ძველი წესით უნდა დაიცვან წესიერება სამხედრო ტყვეებს შორის, 6. მუშაობის შემდეგ სამხედრო ტყვეები თავიანთ ბინაზე უნდა იყვნენ.

გერმანიის სხვა და სხვა ნაწილებიდან მიღებულ ცნობების თანახმად რკინის გზებზე მოძრაობა თანდათან ნორმალურ კალაპოტში დგება. დიდი ქალაქებისთვის სურსათის მიწვდენა არ შეფერხებულა.

ახალი მთავრობა.

ოფიციალურ ცნობების თანახმად ყოფილ სტატს-სეკრეტრებს და მთავრობის წარმომადგენელთ დაკისრებული აქვთ განაგრძონ მუშაობა. ამავე დროს მუშათა და ჯარის კაცთა აღმასრულებელ კომიტეტმა პრუსიის პოლიტიკურ კაბინეთის წევრებად დაინიშნა: თავმჯდომარეთ—პავლე გირში და ჰენრიხ შტრობელი და წევრებად ევგენი ერნსტი, ოტო ბრაუნი და ადოლფ გოფმანი. მე-6 წევრს შემდეგ დანიშნავენ. მიწათმოქმედების სამინისტროს გამგეთ დაინიშნა ოტო ბრაუნი და ადოლფ გოფერი, შინაგან საქმეთა—პავლე გირში და ემილ ეიჰგორნი, ბერლინის პოლიციის უფროსათ ევგენი ერნსტი, ფინანსთა სამინისტროსი—დ-რი ალბერტ სვედეკუმი, კულტურის სამინისტროსი—ადოლფ გოფმანი და კონრად ბენიში. სამინისტროს შევსება ახლო მომავალში მოხდება.

წინააღმდეგ გავრცელებულ ხმებისა, ვითომც ეხლანდელი მთავრობა სამხედრო სესხის გაუქმებას აპირებდეს, ოფიციალურად ცხადდება, რომ ყველა ასეთი ხმები სიცრუეა, გაზეთების ცნობით მეცხრე სამხედრო სესხზე ხელის მოწერა 10 მილიარდს აღემატება.

ბერლინში.

გერმანიის სატახტო ქალაქში, გუშინ ნოემბრის 11 სიწყნარე იყო; „უნტერ დენ ლინდენ"-ის და ახლო მახლო ქუჩებზე დროგამოშვებით ისმოდა სროლა, რომელიც ერთმხრივ ხალხის აღელვების შედეგი იყო და მეორეს მხრი პროვოკაციულ ხასიათისაა. მაღაზიები გაიხსნა და ქუჩებში მოძრაობა ოდნავ განსხვავდება მშვიდობიან დროის მოძრაობისაგან. შუადღისას მოწვიმა, ქუჩებში ხალხი გაჰფანტა და ამნაირად დამაწყნარებელი გავლენა იქონია.

დროებითი ზავის პირობები

დაწვრილებით ის პირობები, რომლებიც მოკავშირეებმა გერმანიას წარუდგინეს და რომელზედაც ის დასთანხმდა და ხელი მოაწერა, რასაც შედეგად დროებითი ზავის ჩამოგდება მოჰყვა ყველა ფრონტებზე, ალბად ამ დღეებში მოვა დაწვრილებით. ეს პირობები გერმანიისთვის მეტად მძიმეა: 1) მდინარე რეინის მთელი მარცხენა ნაპირი გერმანიამ უნდა დასცალოს და მას იჭერს მოკავშირეთა ჯარები; 2) რეინის ხაზზე რომ ციხე-სიმაგრეებია, ამათაც ოკუპაციას უშვრება მოკავშირეთა ჯარები; 3) რეინის მარჯვენა ნაპირზე, 30 კილომეტრის მოშორებით იქნება ნეიტრალური ხაზი; 4) გერმანიამ უნდა დაუბრუნოს მოკავშირეებს 150 ათასი სარკინიგზო ვაგონი (გერმანიას ომის დროს წაღებული აქვს 90 ათასი ვაგონი ბელგიიდან და 60 ათასი—საფრანგეთიდან); 5) გერმანიამ უნდა დაუბრუნოს მოკავშირეებს სამხედრო ფლოტის ნაწილი; 6) გერმანიამ უნდა შეუშვას მოკავშირეთა ფლოტი კაგერაკში; 7) გერმანიამ უნდა დაუბრონოს მოკავშირეებს სამხედრო მასალის დიდი ნაწილი; 8) გერმანიის სანაპიროებს მოკავშირეთა ფლოტი ბლოკადას უშვრება; 9) აღმოსავლეთით გერმანიამ ჯარებს უნდა დაახევინოს 1914 წლის, აგვისტოს საზღვრებამდე. დასავლეთის ფრონტზე პირობებში აღნიშნულ საზღვრამდე გერმანიამ უნდა დაახევინოს ჯარს ორი კვირის განმავლობაში—ესაა ვადა მიცემული. რაც შეეხება აღმოსავლეთს—აქ ვადა არაა დადებული: ეს შეიძლება იმით იხსნას, რომ მოკავშირეებს შიში აქვთ, რომ თუ ვინიცობაა გერმანული ჯარები აღმოსავლეთით უცებ გავლენ (მაგ. უკრაინიდან, ბელორუსეთიდან და სხვ.) იქ ბოლშევიზმი გაძლიერდება. შეიძლება მათ განზრახვაც ჰქონდეთ, რომ თანდათან მიმავალი გერმანიის ჯარები ამ ტერიტორიებზე შესცვალონ თავის ჯარებით.

რა მიზანი აქვთ მოკავშირეთ.

რასაკვირველია ეს პირობები დროებითი ზავისა კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ საერთაშორისო კონგრესზე როცა სამუდამო და საერთო ზავის პირობები გამომუშავდება—არ შეიცვლება. ინგლისი მაგალითად თავისდღეში არ დასთანხმდება იმაზე, რომ რეინის მთელი მარცხენა ნაპირი საფრანგეთს ეჭიროს ამ პირობებს მხოლოდ ის მიზანი აქვთ, რომ მოუსპონ გერმანიას ყოველგვარი საშუალება და შესაძლებლობა, რაიმე წინააღმდეგობის გაწევისა ან და კიდევ ომის წარმოებისა.

ახალი ამბავი

◆ **გერმანული ენის კურსები სამხედრო პირთათვის** 1918 წლის ნოემბრის 20-დან, ქართულ-გერმანულ კულტურის საზოგადოების ხელმძღვანელობით, ტფილისის სამხედრო სასწავლებელში (მიხეილის პროსპექტი). გაიხსნება გერმანული ენის კურსები ყოველნაირი სამხედრო პირთათვის. სწავლა იქნება ბერლიცის მეთოდით მეცადინეობა საღამოობით, კვირაში სამჯერ. ფასი შეღავათიანია. მსურველებს შეუძლიათ ჩაეწერონ 1) საერობო საარჩევნო მთავარ ინსტრუქტორის ბ. ტიტე მარგველაშვილის კანცელარიაში, (შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში პეტრე დიდის ქუჩა) დილის 9 საათ. ნაშუადღ. 3 საათ. ან და მატერიალური ქუჩაზე, № 14 1 უბანი გრიგოლ წერეთელთან საღამ. 5 ს. 8 საათ.

◆ **საჭიროა მასწავლებელი.** თავისუფალია მასწავლებლის ადგილები ბორჩალოს მაზრის სოფლის სკოლებში ყალამში, გომარეთის და გორის მაზრის ატენში. ჯამაგირი 400 მან. თვეში, თხოვნები მიიღება წ. კ. გ. საზ. კანცელარიაში (სასახ. ქ. № 5).

◆ **სამძიმარი** ბორჯომის სოც.-ფედ. პარტიის ორგანიზაციის წევრები დიდ მწუხარებას გამოსთქვამენ ჩვენი საუკეთესო ამხანაგის მიხაკო დეკანოსიძის უდროვო დაკარგვის გამო. თავმჯდომარის მაგიერ—ჯაფარიძე. მდივანი გურგენიძე

† **გრიშა ჭუმბურიძე.** მცხეთიდან ჩამოსულმა ამხანაგებმა ფრიად სამწუხარო ამბავი გადმოგვცეს: სოფელ ნატახტართან მოუკლავთ სოც.-ფედ. პარტიის მიერ გაგზავნილი დუშეთის მაზრაში საერობო არჩევნებისათვის პროპაგანდისტი—სტუდენტი გრიშა ჭუმბურიძე. მოკლული დროებით იქვე დაუმარხავთ. საქმის გამოძიების შემდეგ განზრახულია ქ. ტფილისში ჩამოსვენება.

◆ **სოციალ-დემოკრატების ყრილობა** ნოემბრის [illegible]-ს გაიხსნა ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციათა წარმომადგენლების მერვე ყრილობა სილ. ჯიბლაძის თავმჯდომარეობით. ყრილობის თავმჯდომარეთ აირჩიეს ნიკ. ჩხეიძე. გადაწყვეტილ იქმნა მოხსენებანი ქართულად იკითხებოდეს, ხოლო რეზიუმე რუსულადაც ითარგმნებოდეს. ნ. ჟორდანიამ წაიკითხა საოლქო კომიტეტის მოქმედების ანგარიში.

ქართული ლატარია.

◆ ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირების გამგეობამ დაიკავა ასი ათასი მანეთის ბილეთი კოოპერატივებში გასავრცელებლად.

— ზუგდიდის თვითმართველობამ ლატარიის კომისიას ზუგდიდსა და სენაკს შუა მიმოსვლისათვის უფასოდ დაუთმო თავისი ავტომობილი.

— ქ. ხაშურის თვითმართველობის გამგეობამ ქალაქისათვის შეიძინა ასი თუმნის ლატარიის ბილეთები.

◆ **ნავთი, ბენზინი და მაზუთი.** გზათა სამინისტროს საექსპლოატაციო ნაწილის უფროსი ტოლსტონოგოვი, რომელიც ამ ჟამად ბაქოში იმყოფება გზათა მინისტრს პირდაპირი მავთულით ატყობინებს: ადერბეიჯანის მთავრობამ წინადადება მოგვცა შევისყიდოთ ბაქოში 50,000 ფუთი ბენზინი, ფუთი 100 მანეთობაზე ტფილისში გადმოტანით. იმ პირობით კი, რომ მათ მიეცეთ უფლება 50,000 ფუთი ბენზინის ჩვენში შემოტანისა საქართველოს რესპუბლიკაში გასაყიდად. აქაურმა ჩვენმა წარმომადგენელთა საბჭომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ ჩვენ საამისო ჭურჭელი არ მოგვეპოვება და არც მისი ზღვით შემოტანა შეგვიძლიან, ამიტომ საჭიროდ დავინახეთ შევეკითხოთ ჩვენს მთავრობას. გარდა ამისა, წინადადებას გვაძლევენ 50,000 ფუთი ნავთის შეძენისათვის—ფუთს 40 მანეთობაზე საქართველოდან მისი ექსპორტის უფლებით.

წინად განსაზღვრულ ჩვენთვის კუთვნილ ნავთის გადმოსაზიდად, გთხოვთ დაუყოვნებლივ გამოჰგზავნოთ ორი მატარებელი. გუშინ საქართველოში გამოვგზავნეთ 57 ცისტერნი,—მათში 16 ცისტერნი ნავთია. ჩვენი წარმომადგენელი ქარცივაძე გთხოვთ გამოჰგზავნოთ დახურული ვაგონები აქაურ ქართველთა სამშობლოში წამოსასვლელად, რომელთა მდგომარეობაც აქ ფრიად მძიმეა.

ბაქოს საერთო მდგომარეობის გამო მოლაპარაკება და ხელშეკრულებანი ჯერ არ დაწყებულა. გთხოვთ, გვაცნობოთ ტფილისის მდგომარეობა.

◆ **კომისია.** სამხედრო სატუსაღოების დაწესებულებათა პროექტის შესამუშავებლად სხვა სამინისტროებთან შეთანხმებით, სამხედრო მინისტრმა დანიშნა ახალი კომისია გენერალ დადეშქელიანის თავმჯდომარეობით.

◆ **მოხსენება.** ნოემბრის 15-ს ზუბალაშვილის სახლში გერმანიიდან ახლად ჩამოსული ზურაბოვი წაიკითხავს მოხსენებას ბერლინის ამბების შესახებ.

◆ **ამხ. გრიგ. ჭუმბურიძის მოკვლის** გამო. ტფილისში მყოფი ბათომის პოლკის პარტიზანები ცხარე ცრემლებით და უსაზღვრო მწუხარებით დავსტირით ძვირფას ამხანაგს და ჩვენი პარტიის თავდადებულ მუშაკს გრიგოლ ჭუმბურიძის ცხედარს მთელი ჩვენის არსებით გულის წყრომას და ზიზღს უცხადებთ იმ სამშობლოს ულირს შვილებს, რომლებმაც მოგვიკლეს საყვარელი ამხანაგი უკანასკნელად გეთხოვებით ძვირფასო ამხანაგო გრიგოლ და შენი ხსოვნა ჩვენს გულში არასოდეს წაიშლება. ამხ. მონდომ. ტ. წალენჯიხელი.

◆ **მკვლელობა.** ნოემბრის 13-ს ელისაბედის ქუჩაზე უცნობებმა გამოურკვეველ მიზეზით მოჰკლეს მეორე ცხენოსან პოლკის პოდპორუჩიკი კ. ბერიძე.

◆ **შეპყრობა.** ნოემბრის 13-ს სისხლის სამართლის მილიციამ შეიპყრო ციხიდან გამოქცეულნი კრუპენი და ახვლედიანი.

◆ **გვამი.** ნოემბრის 11-ს დესიმონოვის ქუჩაზე, მილიციონერებმა იპოვეს უცნობი კაცის გვამი.

◆ **სომხების დელეგაცია.** ნოემბრის 13-ს სტამბოლიდან ტფილისში დაბრუნდა სომხეთა სამშვიდობო დელეგაცია, ავეტის აჰარონიანის მეთაურობით. დელეგაციასთან ერთად ჩამოვიდა 60 სამხედრო ტყვე სომეხი.

შეცდომის გასწორება.

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში, პარლამენტის სხდომის ანგარიშში სამწუხარო კორექტურული შეცდომები შეგვეპარა: მეორე გვერდის, მეხუთე სვეტში სწერია „ნავაშირინი", უნდა იყოს „ნავაშინი". იმავე ადგილას ქურდიანზე ნათქვამია „მაგრამ ის სამინისტროში არ არის". ეს წინადადება შეცდომით არის აქ მოთავსებული. სხვა ადგილს ეკუთვნის.

სოფლად და ქალაქად

რაჭა-ლეჩხუმი.

◆ როგორც უკანასკნელი ცნობებიდან სჩანს ამ ორ მაზრაში ანარქიის ლიკვიდაციის და ადმინისტრატიულ აპარატის მოწყობის შემდეგ იქ დაწყებულა ენერგიული მუშაობა ერობის საჩქაროდ შემოსაღებად. რაჭის მაზრაში წინასწარი სამუშაო თითქმის გათავებულია და ახლო მომავალში შესაძლებელია არჩევნების დაწყებაც. ლეჩხუმის მაზრაში კი მუშაობას აფერხებს ინტელიგენტურ ძალების ნაკლებულობა. ამ მხრით მთავარ ინსტრუქტორისაგან მიღებულია ზომები იმ სახით, რომ უკანასკნელმა მიმართა თხოვნით ქუთაისის საერობო კომისიას, გაუგზავნოს ლეჩხუმში მომზადებული ინსტრუქტორი (რადგან ასეთი ადგილობრივ არ მოიპოვება).

დ. ჩოჩატაური.

◆ ამ ბოლო ხანებში ჩოხატაურის რაიონში ძლიერ გავრცელდა „ესპანიური" ავადმყოფობა. ვერ ნახავთ ოჯახს, რამდენიმე არ იყოს მწოლიარე ავადმყოფი, უწამლობა და მოუვლელობით ბევრი ეთხოვება წუთისოფელს. ბევრ სკოლაში მეცადინეობაც აღარაა, რადგან როგორც მასწავლებლები, ისე მოწაფეები „ესპანკით" ავადმყოფობენ. საჭიროა ამ მოვლენას მიექცეს ჯეროვანი ყურადღება.

◆ ჩვენი პარტიული ამხ. გრიგოლ თავდგირიძე ჩოხატაურიდან გადაიყვანეს სამსახურში ქალ. სამტრედიაში. მისი აქედან წასვლა ყველასათვის ძლიერ საწყენი დარჩა, ამ დღეებში მის პატივისცემად გამართული იქმნა ვახშამი; სხვა და სხვა პარტიის წარმომადგენლები ამხ. გრ, თავდგირიძეს ახასიათებდნენ როგორც სპეტაკ, დაუღალავ და ენერგიულ მუშაკს ყოველივე კულტურულ დაწესებულებაში.

◆ ამ რამდენიმე დღის წინად ოზურგეთიდან გვეწვია რკინის გზის გამყვანი კომისია, რომელმაც მოხსენება გაუკეთა კრებას გურიაში რკინის გზის გაყვანის შესახებ, ასე ვთქვათ, კოოპერატიულ ნიადაგზე პაების შეძენით. პაი ეღირება დაახლოვებით 500 მ. აღნიშნულ საზოგადოებაში ყველას შეუძლიან მიიღოს მონაწილეობა და მათვე უნდა განაგონ და იყვნენ რკინის გზის ბატონ-პატრონი. რკინის გზას ექნება შემდეგი მიმართულება: ფოთი, სუფსა, ოზურგეთი, ჩოხატაური და სოჯევახო. რამდენად საჭიროა რკინის გზა გურიისთვის, ყველასათვის აშკარაა, მხოლოდ რამდენად განხორციელდება ეს განზრახვა ცხოვრებაში, ამას მომავალი დაგვანახვებს.

საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

კრება ნაძალადევში. დღეს, ნოემბრის 15-ს, საღამოს 7 ნახევ. საათზე დანიშნულია სოციალისტ-ფედერალისტთა ჩვეულებრივი კრება. მომხსენებელია ამხ. ვახტანგ კოტეტიშვილი.

ტფილისის პოლიტეხნიკუმის სტუდენტთა საყურადღებოდ. კვირას, საღამოს 5 საათზე გაიმართება საარტისტო საზოგადოების მეორე აუდიტორიაში სოციალისტ-ფედერალისტ სტუდენტთა კრება, განსახილველად დიდად მნიშვნელოვან საკითხისა და ვსთხოვთ ყველა ამხანაგს დაესწროს ამ კრებას.

გენ. მაჟაშვილის განმარტება

(დეპეშა)

ბორჯომი. ნოემბრის 12-ს, მხოლოდ დღეს წავიკითხე გაზეთებში იმ გამოსვლების შესახებ, რომელსაც რამოდენიმე პირი და ბეჭდვითი ორგანო ლტოლვილთა საკითხის გარშემო საქართველოს რესპუბლიკის და საქართველოს ჯარის უფროსთა წინააღმდეგ აწარმოებდა. ლტოლვილთა საკითხი მჭიდროთაა დაკავშირებული ოსმალეთის მიერ ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების ჩვენზე გადმოცემის საკითხთან. აზრად გვქონდა ჩაგვეყვანა იქ ჯარი, აღგვედგინა წესიერება და უზრუნველ გვეყო ლტოლვილთა დაბრუნების უშიშროება, და მხოლოდ ამის შემდეგ დაგვებრუნებია ლტოლვილნი. ყველა ჩემ დაბეჯითებით მოთხოვნაზე რომ ჩვენი ჯარი გაეშვა ოსმალეთის სარდლებს, ისინი გვიპასუხებდნენ, რომ ამის შესახებ მთავარ-სარდლისგან ბრძანება არა აქვთ, და მხოლოდ ერთი კვირის უკან ოსმალეთის ჯარის უფროსმა მიიღო ეს ბრძანება, მაგრამ იქ არ იყო ნაჩვენები მაზრების გადმოცემის ვადა რიგი. ვხედავდი რა რომ პირობის ევას ოსმალოები აგვიანებდნენ, ლთა მდგომარეობა კი სიცვეების გამო უარესი შეიქმნა, მე დაბეჯითებით მოვითხოვე გაეშვათ ლტოლვილნი. ხალილ-ბეიმ თანხმობა განაცხადა, ხოლო იმ პირობით, რომ დაბრუნების ნებართვა უნდა მისცეს ტფილისის ლტოლვილთა კომიტეტმა. მსურდა რა აეცდინა ხიფათს ლტოლვილთა სიცოცხლე და ქონება, მე წერილობით შევეკითხე ხალილ-ბეის, იძლევა თუ არა ის ლტოლვილთა თავისუფალ დაბრუნების გარანტიას, რაზედაც მხოლოდ გუშინ საღამოთი მივიღე დადებითი პასუხი, მაგრამ ისევ იმ პირობით, თუ ლტოლვილთ დაბრუნების ნებართვას ტფილისის ლტოლვილთა კომიტეტი მისცემს. ამნაირად იმ ბრალდების ვითომც საქართველოს რესპუბლიკას არ სურდეს ლტოლვილების უკან დაბრუნება, არავითარი საფუძველი არა აქვს. არამც თუ სწერენ ასეთ ბრალდებას, არამედ არიან ისეთი ქველმოქმედნიც, რომელნიც ლტოლვილებს აჩქარებენ დაუყოვნებლივ შინ დაბრუნდენ, რასაც ლტოლვილების დახვრეტა და ძარცვა მოსდევს, როგორც ამას ადგილი ქონდა ბარალეთთან, სადაც მრავალი ლტოლვილი დახოცეს ტყვეთ წაიყვანეს და საქონელი წაართვეს. ოსმალოებმა გზები შეკრეს და არავის უშვებენ, როგორც ჩვენსკენ, ისე იქით. მაშასადამე, ლტოლვილთა დაბრუნების ჩემ მიერ ნების დართვა ან ამის აკრძალვა, რაც არასდროს არ ყოფილა, საქმის მდგომარეობას არა სცვლიდა. ვთხოვ ყველა გაზეთებს გადაბეჭდონ ეს განმარტება, ხოლო ვისაც სურს ჩემს სიმართლეში დარწმუნდეს, პირადად მოინახულოს ლტოლვილები ბორჯომში.

გენერალ-გუბერნატორი **მაჟაშვილი**.

წ. კ. გ. საზოგადოებაში

13 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე შესდგა წ. კ. გ. საზოგადოების ახლად არჩეული მთავარი გამგეობის პირველი მორიგი სხდომა. ამ სხდომაზე არჩეულ იქმნა პრეზიდიუმი: თავმჯდომარედ დ. გ. კარიჭაშვილი, თავმჯდომარის ამხანაგად თ. გ. კიკვაძე, მდივნად ვ. ა ბურჯანაძე, ხოლო ხაზინადრად შ. ზ. დედაბრიშვილი.

სასკოლო სექციის თავმჯდომარედ— ლ. გ. ბოცვაძე, ბიბლიოთეკისა და სახალხო კითხვების მომწყობი სექციის დროებით დატოვებულ იქმნა ვას. კახიძე, სამწიგნობრო სექციის—თ გ. კიკვაძე, ხოლო სამუზეუმო—დ. გ. კარიჭაშვილი.

დადგენილ იქმნა გამგეობის მორიგი სხდომები იმართებოდეს შაბათობით.

პარლამენტის გარშემო

პარლამენტის წევრმა ივ. ჩერქეზიშვილმა პარლამენტის პრეზიდიუმში განცხადება შეიტანა რომ იგი პარლამენტის წევრობაზე უარს ამბობს.

სამხ. წესები ტფილისში

ბრძანება

№ 1

ტფილისის გენერალ გუბერნატორისა

ნოემბრის 9, 1918 წ.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ბრძანებით ამა წლის ნოემბრის 8-დან № 43, ქ. ტფილისში და მის მიდამოებში გამოცხადებულია სამხედრო წესები.

ტფილისის გენერალ გუბერნატორად, მთელი თავისი უფლებებით დანიშნული ვარ მე.

რკინის გზა, ნავთლუღიდან დიდუბემდე, გენერალ-გუბერნატორ ყარალაშვილის განკარგულებაში რჩება, მაგრამ თუ რაიმე ხაომარი მოქმედება დაიწყო დასახელებულ გზაზე, უკანასკნელი გადმოდის ჩემს განკარგულებაში

ზემოთ მოყვანილ ზომების გამომწვევი მიზეზები მთავრობას საკმაოდ ჰქონდა განმარტებული ნოემბრის 8 ბრძანებაში. როგორც სჩანს, აწარმოებენ სიტყვიერსა და წერილობითი აგიტაციის საქართველოს დამოუკიდებლობის, მისი მთავრობისა და არსებულ წესწყობილების წინააღმდეგ.

აგიტაციის უმახლობელესი მიზანია გამოიწვიონ ანარქია, ძმათა შორის ჟლეტა, კონტრ-რევოლიუციონური გამოსვლა, რომ გარეშე ძალა ჩაერიოს საქმეში.

რომ ასეთი გამოსვლები და წესიერების დარღვევა ქალაქსა და მის მიდამოებში არ მოხდეს, მოუწოდებ ქალაქის მცხოვრებთ დაიცვან სრული მშვიდობიანობა და დარწმუნდნენ იმაში, რომ ცოტათი მაინც სამხედრო მოქმედების დაწყება არსებული წყობილების და ხალხის უზრუნველყოფის წინააღმდეგ, ვისი მხრივაც არ უნდა იყოს ის დაწყებული, სასტიკ სასჯელს შეხვდება.

იმედი მაქვს, რომ ტფილისისა და მისი მიდამოების მცხოვრებნი დახმარებას გაუწევენ მთავრობისაგან მიღებულ ზომების განხორციელებას და უექსცესოთ დაემორჩილებიან მის კანონიერ მოთხოვნილებას და ნებას არ მისცემენ ბოროტ-მოქმედთ, რესპუბლიკის მტრებს, არეულობა შეიტანონ მცხოვრებთა ცხოვრებაში.

გენ. გუბერნატორის განცხადება

ვაცხადებ ყველას საყურადღებოთ, რომ სამხედრო წესების კანონის თანახმად სამოქალაქო უწყების პირნი, რომელნიც ჯარში არ იმყოფებიან და იმ ადგილებში მყოფნი, სადაც სამხედრო წესებია გამოცხადებული, სასამართლოს გადაეცემიან და დაისჯებიან სამხედრო წესის კანონით: 1) მთავრობის წინააღმდეგ ამბოხებისა და სახელმწიფოს ღალატისათვის, 2, განზრახ განადგურებისათვის, სამხედრო იარაღისა და საერთოდ იმ ქონებას, რომელიც შეადგენს დაცემისა და თავდაცვისათვის გამოსადეგ მასალებს და აგრედვე სურსათის და ფურაჟის გაუმჯობესებისათვის, 3) სამხედრო წესებ გამოცხადებულ ადგილებში, განზრახ წყალსადენების, ხიდების, ბოგირის ქების, გზების, ფონებისა და სხვა გადაყვანისათვის საჭირო მასალების გაფუჭებისა და დაზიანებისათვის, 4) მთავრობისათვის სასარგებლო მოსამსახურეების: ტელეგრაფის, ტელეფონისა და სხვა მთავრობისათვის ცნობის გადასაცემი დაწესებულებათა მოსამსახურეების ზიანის მიყენებისათვის, 5) მოდარაჯე ან სამხედრო ყარაულზე დაცემისათვის, იარაღით სამხედრო ყარაულისა და მილიციის წინააღმდეგობის გაწევისათვის და აგრედვე დარაჯისა და სამხედრო ყარაულის მკვლელობისათვის.

ზემოთ ჩამოთვლილის გარდა, სამხედრო-საველე სასამართლოს გადაეცემა საქმეები დაცემის, ყაჩაღობის, ქალაქში და მის მიდამოებში ყოველმხრივ 25 ვერსზე სროლისათვის ამასთანავე სამხედრო-საველე სასამართლოს გადაეცემა ყველა იმ დამნაშავეთა საქმეებს, თუ ისინი, ჩემის შეხედულებით, მოითხოვენ განსაკუთრებულ რეპრესიებს. აქ არ ჩამოვთვლი სხვა კატეგორიების დანაშაულობებს, რომელთა შესახებ ცალკე იქნება განცხადება.

სავალდებულო დადგენილება.

აკრძალულია: 1) ყოველნაირი სასროლ იარაღის ტარება ყველასათვის, გარდა საქართველოს რესპუბლიკის ოფიცრებისა და სამხედრო მოხელეებისა, რომლებიც სამსახურში იმყოფებიან, სახალხო გვარდიის წევრებისა, რომელთაც გვარდიის შტაბისაგან მოწმობა აქვთ, აგრედვე იმ მოსამსახურეებისა, რომელთაც სამსახურის გამო მიცემული აქვთ იარაღი.

ყველა საზოგადო ორგანიზაციები და კერძო პირები, ზემოთ მოყვანილთა გამოკლებით, ვალდებულნი არიან, ამ სავალდებულო დადგენილების გამოქვეყნებიდან 24 საათში ჩააბარონ ყველა იარაღები საკომენდანტოს სამმართველოში (გოლოვინის პროსპ. № 7).

შენიშვნა: 1. ოფიცრებს, რომელნიც საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო სამსახურში იმყოფებიან, უფლება აქვთ ჰქონდეთ ერთი ვინტოვკა და ერთი რევოლვერი.

შენიშვნა 2. მთავრობისა და საზოგადო დაწესებულება, რომელნიც აუცილებელ საჭიროთ სცნობენ მოსამსახურეთა შეიარაღებას, მილიციის უფროსს უნდა წარუდგინონ იმ პირთა სია, რომელთაც იარაღი უნდა მიეცეთ; **ამ სიას** მილიციის უფროსი საბოლოო დასკვნისათვის წარუდგენს გენერალ-გუბერნატორს; კერძო პირთა შუამდგომლობა იარაღის ტარების ნებართვისათვის, უნდა წარედგინოს მილიციის უფროსს და მისი აზრის გამოთქმის შემდეგ, გენერალ-გუბერნატორს.

2) სასროლ იარაღის ყიდვა-გაყიდვა იმ პირებისაგან, რომელთაც იარაღის ნებართვა არა აქვთ.

3) ყოველნაირი სახელმწიფო ქონების ყიდვა-გაყიდვა, თუ ამისათვის საჭირო ნებართვა არა აქვთ.

4) განსაკუთრებული სამხედრო ნიშნის ტარება იმ პირების გარდა, რომელიც ნაჩვენებია სამხედრო მინისტრის ბრძანებაში და გამოცხადებულია გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" ნოემბრის 7-ს № 85 ში, ე. ი. იმ პირთ, რომელნიც საქართველოს რესპუბლიკის ჯარში მსახურებენ. გარეშე სახელმწიფოთა დიპლომატიური მისიის წარმომადგენელის წევრების, სამხედრო პირები, რომელნიც დასახელებულ მისიასთან იმყოფებიან და გერმანიის ჯარის წევრებს, რომელნიც საქართველოს რესპუბლიკაში მსახურებენ.

5) ყოველნაირი ყრილობები, მიტინგები, ქუჩაში შეკრება. მანიფესტაცია, ქუჩებში სიტყვის წარმოთქმა და სხვა.

შენიშვნა ლექციებისა და რეფერატების კითხვა შეიძლება გენერალ გუბერნატორის ნებართვით, ყოველ კერძო შემთხვევაში.

6) ქალაქის და კერძო ელექტრონის სადგურები, ვალდებულნი არიან გაანათონ ქუჩები მთელი ღამე გათენებამდე და თუ რაიმე სადგურისაგან დამოუკიდებელ მიზეზის გამო ქუჩების განათება არ მოხდა, ამის შესახებ უნდა შემატყობინონ მე.

7) ის პირნი, რომელნიც ამ სავალდებულო დადგენილებას დაარღვევენ ადმინისტრატიული წესით დატუსაღებულ იქნებიან 1—6 თვე ციხეში,—ჯარიმათ გადახდებათ 10,000 მანეთი და შემდეგ გადასახლებულ იქნებიან საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებ დან

ტფილისისა და მის მიდამოების გენერალ-გუბერნატორი გენერალ-მაიორი **მაზნიაშვილი**.

* * *

ნუღარ შემხვდებით, ამიხვიეთ ყოველთვის გვერდი,
როცა ბაზრისკენ ვეშურები დილა ადრიან,
მინდა ნაცნობნი გადამეცნენ ყველა, ვით ერთი,
რომ არვინ მცნობდეს ქვეყანაზე, გარდა ამ მტვრიან
შეითანბაზრის. აგერ ზამთრის ჩამოწვა რკალი.
ყველგან ვიმეფებ დაწყებული აბას აბადით,
ეგებ მზეც ჩაჰხმეს, ჩამობნელდეს ბოხი ბაჰკალი,
ურყევად ვივლი დაბურული ღამის ნაბადით.
ნუღარ შემხვდებით, ამარიდეთ მხრჩოლავი პირი,
ჩემი სალამი ყინულია შორი ციმბირის;
მე უთქვენობას შევეჩვიე უფრო და უფრო,
გადამავიწყდა ძმაბიჭობა, გაშლილი სუფრა
აქ, ამ ქუჩებში, მარტო ჩვენ ვართ: მე და სიდინჯე,
ხან კი მესამედ ჩაგვერევა ღამის დარაჯი
და ყველა ერთად თავს დავსტირით დღის სიმახინჯეს,
რომელმაც შექმნა კლიტეები, ურდულა-რაზი!..

რაუდ გოგოხია.

ჩვენი საზოგადოების საყურადღებოდ

ვაჟა-ფშაველას საკმაოდ იცნობს ჩვენი საზოგადოება. ბევრს ექნება წაკითხული მისი უკვდავი ქმნილებანი: „გველის მჭამელი", „ბახტრიონი", მოხუცის ნათქვამი", „ეთერი" და სხვა აღურიცხველი ნაწერი ლექსად და პროზად ვაჟა-ფშაველა იყო ნამდვილი ქურუმი პოეზიისა და იგი თამამად დასასმელია უკვდავის შოთა რუსთაველის გვერდით იმ განსხვავებით, რომ ორივენი ეკუთვნიან თავთავიანთს დროს. ვაჟა-ფშაველას რომ მხოლოდ სიყვარული და სისხლის ღვრა გაეხადნა თავის შემოქმედების დედა ძარღვად—ის ვაჟა-ფშაველა აღარ იქნებოდა.

ვაჟა-ფშაველა ჩემი ძმა იყო და თავისი სიცოცხლე სულ სიღარებასა და გაჭირვებაში გაატარა. ჩვენმა საზოგადოებამ თავისი ეს დიდებული პოეტი გვიანღა დააფასა და აღმოუჩინა დასაკმაყოფილებელი სახსარი ცხოვრებისა. ამ მიზეზის გამო ვაჟა-ფშაველას სამი ქალიშვილი მთლად უსწავლელი დარჩა. ჩვენს ხალხს წაუკითხნია მისი ნაწერები გაუგონია მისი სიმების ტკბილი ქართული თავის სამშობლო მიწის და ერის სიყვარულზე.

ვიცი, რომ ჩვენი საზოგადოების უმრავლესობას დღესაც დავიწყებული არა ჰყავს თავისი უკვდა პოეტი, რომელიც ამ ხუთი ექვსი წლის წინ მიაბარა დედა-მიწას.

და აი ამ ნაწილს ჩვენი საზოგადოებისას მინდა გავაცნო ვაჟა-ფშაველას ოჯახის ვითარება

ვაჟა-ფშაველას დარჩა ცოლი, რომელსაც თამარი ჰქვიან; ერთი ვაჟი და სამი ქალი. უფროსი ქალები დღეს დათხოვილები არიან უმცროსი ისევ შინ არის და სცხოვრობს თავის ძმებთან

უფროსი ვაჟი ლევან დღეს ცოლშვილიანი კაცია და ფშავეთში სოფელს ჩარგალში სცხოვრობს იმ სახლში, რომელიც მის მამას ეკუთვნოდა.

ვაჟა-ფშაველამ ეს ვაჟი გაზარდა მხოლოდ სასწავლებელში. ქალები ყველანი უსწავლელები დარჩნენ.

ზევით მოგახსენეთ „ვაჟამ თავისი სიცოცხლე სიღარიბეში გაატარა" მეთქი. ამის გამო სიკვდილის შემდეგ მას ბევრი არაფერი დარჩენია, არც ფული, არც სხვა სარჩო საბადებელი რაც დარჩა, მასაც უფროსი ვაჟი დაეპატრონა.

რაც ფული მოეპოვებოდა, ქართველთა შორის წერა კითხვის საზოგადოებას ჰქონდა შენახული ეს ფული დასახელებულმა საზოგადოებამ ვაჟა-ფშაველას უმცროსის ვაჟის ვახტანგის აღზრდას მოახმარა.

ვახტანგს მამის შენახული ფული მარტო ერთს წელს ეყოფინა, სახელდობრ 1915 წელს.

1916 წელს ხან იყო სკოლაში, ხან არა უსახსრობის გამო.

1917 წ. სასწავლებელში სულ აღარ ყოფილა, ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას მივმართე თხოვნით, მიეცა მისთვის სტიპენდია, მაგრამ უარი მივიღე.

მე თვითონ ცოლი მყავს და ექვსი შვილი, თავისი შვილებიც აღუზრდელები მრჩება და ძმისწულს რითიღა შევინახავ, დიდი სურვილიც რომ მქონდეს.

ამ რამდენიმე დღის წინ ჩამოვიყვანე და მივაბარე ვაჟას ვაჟი ვახტანგი დუშეთს უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებელში.

ამ სასწავლებლის ინსპექტორმა იასონ ალექსიშვილმა სწავლის ფული აპატივა, რისთვისაც ღირსია ეს კეთილი საზოგადო მოღვაწე დიდის მადლობისა.

ხოლო დღეის შემდეგ აღარ ვიცი, რითი შევინახო, რა სახსარი აღმოვუჩინო ამ ყმაწვილს, რომ სწავლა განვაგრძობინო.

ამიტომ მივმართავ ჩვენ სამშობლოს საზოგადოებას და ვსთხოვ, ვისაც ახსოვს ვაჟა-ფშაველა მის ვაჟს გაუწოდოს ხელი შეეწეობისა.

თუ კერძოდ ფულს ვინმე გაუგზავნის—გადასცეს იგი პირდაპირ დუშეთის პირველდაწყებითი მაღალ სასწავლებლის ინსპექტორს იასონ ალექსიშვილს, რომელიც ამ ფულს მოახმარს იმ ყმაწვილის საჭიროებას

ნიკო რაზიკაშვილი (ბაჩანა)

ქალაქის თვითმართველობისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს საყურადღებოდ

ქალაქის გამგეობასაცა და შინაგან საქმეთა სამინისტროს კარგად მოეხსენებათ სახელმწიფო უნივერსიტეტში მოთავსებულ გადმოხვეწილთა საკითხი, რომელსაც სამი თვის ისტორია აქვს. ამ ჟამად უნივერსიტეტში ოთხი თუ ხუთი ოჯახი ღაა დარჩენილი (სულ რაღაც ოცი ოცდა ხუთი სული). მაგრამ მიუხედავად მათი ასეთი მცირედი რიცხვისა, უნივერსიტეტს მათგან დიდი ზიანი მოსდის. უნივერსიტეტის გამგეობას ჯერ კიდევ იმედი აქვს, რომ გადმოხვეწილებს ბინას მიუჩენენ სხვაგან სადმე, იმედი აქვს განსაკუთრებით ქალაქის თვითმართველობისა, რომელიც ქართულ უნივერსიტეტს სხვა რაიმე თხოვნით ჯერ თითქო არ შეუწუხებია.

ა.

ჰაიასტანში

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

როგორც წინა წერილში, ვწერდი ჰაიასტანის რესპუბლიკის ახალი მთავრობა შესდგა. სამინისტროში 4 დაშნაკელია, 4 სახალხო პარტიიდან და ერთი უპარტიო. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ კვლავ ქაჯაზნუნი დარჩა. ახალ მთავრობას ჯერ არ გამოუქვეყნებია თავისი დეკლარაცია, რადგან ახალი კაბინეტის სამი წევრი (გუ-იანი, ენფიანჯიანი და ათაბეკიანი ჯერ არ ჩამოსულან ერევანში. ვფიქრობთ, რომ ახალი კაბინეტის პოლიტიკა უმთავრესად კვლავ დაშნაკელების პოლიტიკა იქნება მით უმეტეს, რომ ყველა საპასუხისმგებლო პორტფელები (შინაგან და გარეშე საქმეთა) კვლავ დაშნაკელების ხელში დარჩა. მართალია სომეხთა პარტიის ლიდერები თავიანთ პარტიულ ყრილობაზე პოლიტიკის შეცვლაზე და ახალ პერსპექტივებზე დიდის რიხით ლაპარაკობდნენ, მაგრამ მთავრობაში ისინი ისევ უხმოდ დარჩებიან და მხოლოდ გამზიარებელნი იქნებიან დაშნაკელების პოლიტიკისა. ეს ნათლად გამოჩნდა პარლამენტის იმ სხდომაზეც, სადაც ახალი კაბინეტის შედგენის საკითხი იყო დასმული. ოქტომბრის სხდომაზე, როგორც ვიცით, პარლამენტმა უნდობლობა გამოუცხადა ქაჯაზნუნის კაბინეტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რასაკვირველია ამის შემდეგ ქაჯაზნუნის კაბინეტი გადადგა. როცა შემდეგ სხდომაზე დაყენებული იქნა ეს საკითხი (ორშაბათს, ნოემბრის 5-ს) თითქმის ყველა ფრაქციებმა—ესდეკებმა, ესერებმა და უპარტიოთა ჯგუფმა—განაცხადეს: ვინაიდან ქაჯაზნუნის კაბინეტს უნდობლობა გამოუცხადა პარლამენტმა, ამით მან უნდობლობა გამოუცხადა თვით ქაჯაზნუნსაც და ხელ-ახლავ მათთვის მინდობა კაბინეტის შედგენისა უაზრობა არისო.

დაშნაკელებმა რეზოლიუცია შეიტანეს, რომლითაც ისინი მოითხოვდნენ ქაჯაზნუნისათვის მიენდოთ ახალი კაბინეტის შედგენა. სახალხო პარტიამ, თუმცა ძლიერ უხერხულად გრძნობდა თავს, მაინც მხარი დაუჭირა დაშნაკელების რეზოლიუციას. რასაკვირველია თავისდათავად ეს რეზოლიუცია ულოღიკობას შეიცავდა, რადგან მინდობა კაბინეტის შედგენისა მისთვის, ვისაც გუშინ უნდობლობა გამოუცხადა პარლამენტმა, უაზრობაა. ამას ძლიერ კარგად გრძნობდა სომხის სახალხო პარტია, მაგრამ რა ექნა, როდესაც წინდაწინ მოლაპარაკებით შეუთანხმდა ამ პლატფორმაზე დაშნაკელებს.

დიდი და ცხარე კამათი გაიმართა ამ საკითხის შესახებ პარლამენტში. ესდეკებმა და ესერებმა განსაკუთრებითი სიფიცხე გამოიჩინეს. მათ არ დაინდვეს სრულებით მოწინააღმდეგე პარტია დაშნაკელებისა და კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს მათი პოლიტიკა.

სოც.-დემ. ახატიანმა თითქმის ერთი საათზე მეტი ილაპარაკა და თავის სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა დაშნაკელების პოლიტიკის არა პირდაპირობა. მაგრამ ხალხით გაჭედილი დარბაზი მას ვერ შეხვდა სათანადოდ. პირიქით, დაშნაკელ ორატორის ტოროსიანის სიტყვას საზოგადოება დიდის ტაშითა და თითქმის ოვაციით შეხვდა. ამან საბოლოოდ დაამტკიცა, რომ სომხეთში ძლიერ ცოტა გავლენა აქვს სოც.-დემოკრატიას. ხალხის ფართე მასსა დაშნაკელებს მიჰყვება ჯერ ჯერობით და ალბად დიდი შრომა დასჭირდება სოც. დემოკრატიას, რომ რაიმე გავლენა მოიპოვონ ხალხში. შეიძლება ითქვას, რომ სოც.-დემოკრატიას აქ იმდენივე გავლენა აქვს, რამდენიც ჩვენში დამოუკიდებელი ნაც.-დემოკრატიული პარტიას ესერების გავლენაც იმგვარსავე დონეზეა აქ, როგორც ჩვენში და შეიძლება უფრო ნაკლებიც. მართალია ამ ბოლო დროს სახალხო პარტია გაიზარდა, მაგრამ მაინც მიუხედავად ამისა, იგი დაშნაკცუთუნისათვის მაინც საშიშ ძალას ვერ წარმოადგენს ამის გამო სომხის პოლიტიკა დაშნაკელების პოლიტიკაა და ეს პოლიტიკა ალბად კიდევ დიდ-ხანს იბატონებს სომხეთში. ამ გვარ მდგომარეობაში არის დღეს აქ საქმეები. როგორც მოგახსენეთ, მთავრობის დეკლარაცია ჯერ არ წაკითხულა პარლამენტში; ამიტომ ძნელია თქმა იმისა, თუ რა გზას დაადგება მომავალში ახალი მთავრობა. მაგრამ ის ცნობები, რომელიც დღეს ხელში გვაქვს ერთგვარ სურათს გვაძლევენ იმ გეზისას, რომელსაც ახალი კაბინეტი დაადგება.

უპირველესად ყოვლისა მხედველობაში მიღებულია ის გარემოება, რომელიც გამოიხატება იმაში, რომ ახალ კაბინეტში ვერ შევიდნენ ის პირები, რომელნიც მონაწილეობას იღებდნენ კონსტანტინეპოლში გაგზავნილ დელეგაციაში. თუმცა ამ საკითხის შესახებ მთავრობის წრეებში დიდი კამათი იყო, მაგრამ სახალხო პარტიის მოთხოვნით ა. ხატისოვი, პაპაჯანოვი და სხვები კაბინეტს გარეშე დარჩნენ. დაშნაკელები თუმცა იცავდნენ მათ კანდიდატურას, მაგრამ არც თუ გაცხარებით, რაც იქიდან სჩანს, რომ მათ ჩქარა დაუთმეს სახ. პარტიას და უარი სთქვეს აღნიშნულ პირების კანდიდატურაზე. ამ ფაქტიდან ნათლად სჩანს ის გარემოება, რომ მთავრობამ უარი სთქვა ძველ, მის მიერ წარმოებულ პოლიტიკაზე, რომელსაც თურქოფილური პოლიტიკა შეიძლება ეწოდოს. ამ აზრს უფრო ადასტურებს ის ბლოკი, რომელიც მოხდა სახ. პარტიასა და დაშნაკცუთუნის შორის, და რომლის პირმშო ახალი კაბინეტი გახდა.

თვით სახალხო პარტია, როგორც ამას კრების ანგარიშიდანაც დაინახავთ, ადგია, თითქოს საკუთარი, ინიციატივის გზას. მისი მიზანია სომხეთის მდგომარეობის გაუმჯობესება შინაგანი ძალთა ამოძრავებით, და თვით ერში ცხოველი მუშაობის გაჩაღებით. მას სურს ეკონომიური მაჯის-ცემა, და სომხური მრეწველობა თვით ჰაიასტანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე აღმოცენდეს და საამისოდ გარეთ გაბნეული ძალების შინ დაბრუნებაზე ოცნებობს. მასვე მიზნად დაუსახავს სომხეთის კულტურული აყვავება და ამისთვის მრავალი საშვალებებზე მიუთითებს სომხეთის რესპუბლიკის ახალ მთავრობას, ეს მისწრაფება მშვენივრათ დახატეს თავის სიტყვებში სახ პარტიის კრებაზე მათმა ლიდერება, რომელნიც შემდეგ ახალი კაბინეტის წევრები გახდნენ. და დაშნაქცუთუნმაც გაიზიარა ალბათ ეს გზა თუ ამ პარტიასთან შევიდა ბლოკში თავისი ერის გაჭირვებული მდგომარეობიდან დახსნისათვის. თუ რამდენათ გამართლდება ეს მოსაზრება, ან და რამდენად გაამართლებს ამ იმედებს სომხეთის რესპუბლიკის ახალი მთავრობა ამას მომავალი დაგვანახებს.

—

ძნელია ინტელიგენტი პირისათვის დღეს-დღეობით ერევანში ცხოვრება ქალაქი თითქმის მთლად მოწყვეტილია ქვეყანას, ტელეგრაფისა და რადიოს უმუშევრობის წყალობით. გასაკვირველიც არ არის თუ ასეთ პირობებში ერევანი ბუდე იყოს ყოველგვარი პოლიტიკური ჭორებისათვის. რას არ გაიგონებთ აქ. ერთი ცნობა; რომელსაც ქალაქი უცბათ იგლოვს, უცბათ მეორეთი, სულ საწინააღმდეგოთი იცვლება და ჩვეულებრივი გულუბრყვილო მოქალაქე ერთსაც და მეორესაც ხარბათ იჭერს და თავისებურად გადასხვაფერებულს სრულ ჭეშმარიტებად ასაღებს.

ტფილისის გაზეთების მოსვლა ერთი უდიდესი მოვლენაა ქალაქისათვის და მართლაც ამ დღეს ყველას ნახავთ რუსული გაზეთებით ხელში. ეს მით უფრო ნორმალური მოვლენაა, რომ ადგილობრივი გაზეთები („ზანგ“ დაშნაკელების, „ჟოღოვურდ“ სახ. პარტიისა და „კაიწ“ ესდეკების) ამ გაზეთში მოთავსებულ ცნობებს იზოგავენ და შემდეგ ხელ-ნელა რამოდენიმე ხნის განმავლობაში აწვდიან თავიანთ მკითხველებს. მაგრამ მაგარიც ის არის, რომ ადგილობრივ უმთავრესად სეთი გაზეთები მოდის, რომელნიც ტფილისშიც გულმოდგინეთ ბეჭდავენ ხოლმე თავის ფურცლებზე მორიგ პოლიტიკურ ჭორებს. ეს გაზეთებია „კავკ. სლოვო“ და „ტფილ. ფურცელი“. იშვიათია გაზ. „ბორბა“ რასაკვირველია, შეიძლება ამ გაზეთებსაც დაეკმაყოფილებინა ადგილობრივი მკითხველის ცნობისმოყვარეობა, მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს გაზეთებიც იშვიათად თუ მოდის ადგილობრივ, ასე კვირაში ერთხელ, როცა ტფილისიდან მატარებელი ესტუმრება ერევანს და ეს მოწყვეტილება ერევნისა აწუხებს ყველას და განსაკუთრებით თვით ადგილობრივ პოლიტიკურ წრეებს, რომელთაც სახელმწიფოებრივი საქმის მართვა სჭირდებათ. საქართველოს დიპლომატიურმა წარმომადგენელმა უკვე მიიღო სათანადო ზომები ამის შესახებ და იმედი უნდა ვიქონიოთ რომ სულ მალე მოეწყობა ტელეგრაფი ტფილისსა და ერევანს შორის, რაც ეგზომ საჭიროა ყოველ მხრივ

ნოემბრის 2-ის თარიღით მოსულმა გაზეთებმა გვამცნეს, რომ საქართველოს მთავრობის ინიციატივით ნოემბრის 10-ს უნდა შესდგეს კონფერენცია, ტფილისში ქართველების, სომხების, ადერბეიჯანის დამოკიდებულების გამოსარკვევად და იმ საერთო პოზიციის გამოსამუშავებლად, რომლითაც კავკასიის ერები უნდა წარსდგნენ მომავალ საერთაშორისო კონგრესზე. მკითხველისათვის ისედაც აშკარაა ამ კონფერენციის მნიშვნელობა და ამიტომ ამაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. აქაური პოლიტიკური წრეები ამ მოწოდებას თანაგრძნობით შეხვდნენ. ეს სჩანს იქიდანაც რომ ნოემბრის 8 პარლამენტის სხდომამ პრინციპიალურად საჭიროდ დაინახა ამ მოწვევის მიღება, ხოლო დაავალა მთავრობას წინასწარი მოლაპარაკება აწარმოოს კავკასიის ერების წარმომადგენლებთან. რათა კონფერენციაზე განხეთქილება კი არა, უფრო მეტი შედუღება მოხდეს აღნიშნული ერებისა. ამ მოვლენას ანგარიშის გაწევა უნდა, ცხადია, ეს თავის თავად მისაღებია და ამ გარემოებას სათანადოდ გაითვალისწინებს ის, ვინც სპეციალურად ასეთ საქმეებს განაგებს. მომავალი გვაჩვენებს იმ შედეგს, რომელზედაც ჰყვა მოლაპარაკება

ნ. ა-ძე.

იმათ, ვისაც ჩვენი სიკეთე არ უნდა...

ხშირად ადამიანის მტრად და სამარედ გამოდის მისი კარგი ნაცნობი, შეიძლება „მეგობარიც“, რომლის წინაშე სიკეთს და გულკეთილობის მეტი მას არაფერი მიუძღვის. შენ პურს აძლევ ის ქვით გიმასპინძლდება; შენ კეთილი გულით მისდიხარ, ის ღვარძლიან გულს გიშლის; შენ ტკბილს აწვდი, ის შხამს განთხევს..

და ადამიანის განცვიფრებას საზღვარი არ აქვს; მას უძნელდება წარმოდგენა: რატომ, რისთვის?..

ასეთ მდგომარეობაშია სწორედ დღეს ჩავარდნილი ჩვენი სამშობლო. ქართველი ერი, რომელსაც სუფრა მუდამ გაშლილი აქვს, გული და კარები ყოველთვის ღია,—დღეს მტრებით არის გარშემორტყმული.

და ეკითხები შენს თავს: ვის რა დაუშავა მტრობა რად დაიმსახურა?

როდესაც რუსეთი გიჟურ ნაბიჯებს სდგამდა, აშკარად იხრწნებოდა და უფსკრულისაკენ მიექანებოდა; როდესაც უკვე საჭირო იყო თავის თავზე ზრუნვა, თუ არ გვინდოდა ჩვენაც ანარქიის მსხვერპლი შევქმნილიყავით, მაშინაც კი ჩვენ საერთო დემოკრატიულ ფრონტზე გავიძახოდით, გონიერებისაკენ მოუწოდებდით, მის შველას და ხსნას ვფიქრობდით და ჩვენი ეროვნული ინტერესების შებღალვითაც კი გვინდოდა მისი მთლიანობის დაცვა, კეთილ გზაზე დაყენება, დაღუპვისაგან გადარჩენა.

და რა ჩვენი ბრალია, თუ პაწია საქართველომ უზარმაზარი რუსეთი გონზე ვერ მოიყვანა და მან განაგრძო დამღუპველი გზით სიარული და ვაკხანალია?!

ჩვენ ყოველთვის ერთა სოლიდარობის, კეთილი განწყობილების და მეგობრობის მომხრე ვყავით,—თათრებს, სომხებს ყოველთვის იმას უჩიჩინებდით, რომ ხსნა და ძლიერება—ერთობასა და ძლიერ კავშირშია.

და რა ჩვენი ბრალია, თუ არც ერთმა და არც მეორემ ჩვენს რჩევას, გულწრფელ ქადაგებას ყური არ ათხოვა და დამღუპველი პოლიტიკის წარმოებას თავი არ დაანება?!.

ერთი გვითხრან, ვისთან ჩავიდინეთ ცუდ-კაცობა, ვის უღალატეთ, ვის უმტერეთ? რუსეთს რომ არ ჩამოვშორებოდით და ბოლშევიკების „სოციალისტურ ალში“ გავხვეულიყავით, საქართველოც ხომ სამოქალაქო ბრძოლის ველად, სისხლის მორევად გადიქცეოდა! მაშინ ხომ ვებერთელა რუსეთის ტერიტორიაზე ეს პატარა „ოაზისიც“ გაქრებოდა, სადაც იქაური სიბინძურით გულშეწუხებულნი აქ სულის სიმშვიდეს პოულობენ და ჩვენსკენ მოიშურებიან.

საქართველოს რომ სხვა გზა აერჩია, ეხლა ხომ თათრის ურდოებით მოლეკილი და მიწასთან გასწორებული იქმნებოდა; მაშინ ხომ ის ვერ შესძლებდა თავის ჭერ-ქვეშ უამრავ სომეხ-ლტოლვილთა შეკრებას; კიდევ მეტი, თვით ადგილობრივი სომხების არსებობა მაშინ ხომ საშინელ საფრთხეში ჩავარდებოდა! მაშ, ჩვენი გზა, ჩვენ მიერ წარმოებული პოლიტიკა არა თუ ქართველ ერისათვის, თვით სხვა ერებისთვისაც სასარგებლო და ხელსაყრელი ყოფილა. მადლობის მეტი რა გვეკუთვნის?!

მაშ, რას გვერჩიან, რად გვმტრობენ, რად გვითხრიან სამარეს? აბა, ერთი გვითხრან, საქართველომ ვის რა ავნო, ვის რა წაართვა?

არავის არაფერი! მაშ, რად გვაფეთქებენ, რად მოაქვთ იერიშები?!

მხოლოდ უსაშინელესი ბოროტებით, წარმოუდგენელი გულღვარძლიანობით, მურით შეიძლება ეს ყოველივე აიხსნეს.

მე წავხდი—შენც წახდიო!

ბ.ბ. გამოიჩინეთ მოქალაქობრივი გამბედაობა, სთქვით პირდაპირ, რომ ჩვენი ცუდი კაცობა, ღალატი და უსამართლობა კი არა, ჩვენზე გაბატონების, ჩვენი მოსპობის განზრახვა გალაპარაკებთ და გამოქმედებთ. მაგრამ ამას თქვენ ვერ იტყვით, რადგან ლაჩრები ხართ.

ჩვენ სახელმწიფოს შენების დროს ვერ გამოვიჩინეთ სათანადო სიმკაცრე და სიმტკიცე, ვერ დავადგით ერთ ურყევ და გარკვეულ გზას, და ჩვენი ლმობიერება ბოროტად გამოიყენეს, სისუსტედ ჩასთვალეს. იფიქრეს, რომ ჩვენი თანაბატონების გადაყლაპვა მგლებისთვის არც იმდენად ძნელი და მიუწვდომელია; მაგრამ სცდებიან.

რყევამ და სუსტმა პოლიტიკამ გაათამა, ფრთები შეასხა... ჩვენ ადამიანურად ვეპყრობოდით, მათ თავზე წამოჯდომა მოინდომეს. უკაცრავად, თუ ამის ნება არ მოგცეთ!

ვ. კაკაბაძე.

წერილი რედაქციის მიმართ

მოქალაქე რედაქტორო!

თქვენი გაზეთის № 377-ში ახალ ამბავში მოთავსებულია ცნობა მომარაგების კომიტეტის გაძარცვის შესახებ. კომიტეტისავე დარაჯების და მოსამსახურეების მიერ. მძარცველთა სიაში მოთავსებულია გრიგოლ შარაშიძე. რადგან მამის სახელი არ იყო აღნიშნული და ჩემი სახელი და გვარიც გრიგოლ შარაშიძეა, შეიძლება ვინმემ ჩემზედ იფიქროს. ამიტომ გთხოვთ გამოაცხადოთ, რომ მე გრიგოლ ირაკლის ძე შარაშიძეს არავითარი დამოკიდებულება მომარაგების კომიტეტთან არ მქონია და არც არავის დაუჭერივარ.

გრიგოლ (იგივე პიპიკო) გიორგის ძე შარაშიძე, რომელიც დაჭერილია ამ საქმის გამო, სულ სხვა პიროვნებაა და არავითარი ახლო კავშირი ჩვენ შორის არ არსებობს.

გრიგოლ (გრიშა) ირაკლის ძე შარაშიძე.

გამომცემელი
სამსონ ფირცხალავა.
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა.

ლივიტანოვის დიპლომი

ვასწავლი ყოველგვარ ჭრა-კერვას როგორც ქალისას ისე კაცისას და ბავშვებისას. მრავალ ფეროვან ნაქარგს, „გლადი“, ნარღვევი, და სხვა. ამასთანავე ვიღებ შეკვეთილებს: კაბებს, პალტოებს, თეთრეულს; კაცის ტანისამოსს: ჩერქეზულ, იმერულს და გურულს. ვასრულებ სინდისიერად და ხელმისაწვდომ ფასად.
გორის ქუჩა, № 18. 2278

ექიმი დ. ა. ხარაძე იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, საღამოს 6—8 საათამდე. კვირაობით დილის 10—12 ს. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 37 [illegible] აუდიტორიის ახლო. 2105

ექიმი ბ. შ. ზარიშვილი მიიღებს ვენერიული საშარდე ორგანოების, სიფილისის (მკურნალობა 606—914) და კანის ავადმყოფები დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დილით მიხაილოვის [illegible] პირდაპირ № 8. 801

ექიმი ბ. მ. მუხაძე იღებს სადიაგნოსტიკო ავადმყოფთ. საღამოს 5—6 ს.-დე კვირა დღეს გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 37, ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ. სახლი სვანიძისა, ტელეფ. 5—77. 1030

ექიმი ვ. [illegible] იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. [illegible] ქ. № [illegible]

ექიმი მ. ა. [illegible] მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ. ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 118.

ექიმი ნიკოლოზ მახარაძე იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დაავადებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, კუჭებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 ს. ელექტრიზაცია და მისამართი მოსკოვის ქ. № 11. 2245

ექიმი ბ. ლ. [illegible] (მედიცინის დოქტორი [illegible] უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღ. 4—6 საათამდე. შინაგანი, ბავშვებისა, საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა № 7. სიმონოვიჩის აფთიაქის გვერდით. 908

ექიმი ა. ა. [illegible] შინაგანი ავადმყოფობა. განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა: ფილტვებისა, სასუნთქის ფილტვების აპკისა, გულისა და ჯირკვლებისა. ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველი გვარი ჭლექისა, სისხლნაკლულობისა და მალარიისა. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს 4½—6 საათამდე. პეტრე დიდის ქ. № 26. ტელ. 5—86. 270

ექიმი ქალი რ. ბ. [illegible] მედიცინის დოქტორი [illegible] უნივერსიტეტისა და [illegible] მედიკურ ქირურგიული [illegible]. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალთა და ვენერიულ ავადმყოფთ და აძლევს ხანგრძლივ [illegible]. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. მიხაილოვის პრ. სახლი № 119. ტელ. 9—26. 2306

რენტგენისა და ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი
წითელი ჯვრის სარენტგენო კაბინეტის ყოფილ გამგის და მიხეილის საა. ავადმყოფოს ექიმის ა. [illegible] მიიღებს შინაგან და ნერვიულ ავადმყოფებს. სპეციალურად ფილტვების ავადმყოფობა (ტუბერკულიოზი), გულისა, კუჭისა და ჭლექისა მალარიის წამლობა. რენტგენოგრაფია ჩქარით. დაჭრილებს რიგს გარეშე იღებენ. კრილოვის ქ. № 5, ბ. მ. მიღება 4—8 საათ., გარდა კვირისა. ტელეფონი 12—46. 2029

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა
ბ. გ. მეგრაბიანცი
ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სოლენოიდი და არსევალის ლოკით ფილტვების, გულისა და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის, ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92. 1340

თვალის სამკურნალო [illegible]
რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიზში თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფებს მიიღებენ დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 141 (აპოლოს კინო-თეატრის მახლობლად). ძნელ და საოპერაციო ავადმყოფები სრული პანსიონითაც მიიღებიან. 640

კერძო სამკურნალო
ექ. ა. დ. ალექსიძისა
მოსვლელ ავადმყოფთათვის. ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები.
გ. მ. რუხაძე—შინაგანი და ნერვების ავადმყოფობანი 9—11 ს.
მ. მ. ტუმალაძე—კანის და ვენერიული, სიფილის. 606—914 (ვოლომ) 11—12 ს.
ი. ა. ლაზარევი—სასუნთქი [illegible] ავადმყოფობანი 12—1 ს.
ნ. თ. ანდრონიკაშვილი—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 1—2 ს.
ა. დ. ალექსიძე—შინაგანი და ქალთა სნეულებანი 2—4 ს.
მ. ნ. იმხნელი—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 4—6 ს.
ა. გ. ჯაფარიძე—საბავშვო ავადმყოფობანი 6—7 ს.
ი. ა. ხათრიძე—ბაქტერიოლოგი—გამგე სამკურნალოს ლაბორატორიისა სადაც შეიძლება ყოველგვარი ანალიზის მოხდენა (შარდის, სისხლის, ნახველისა და სხვა).
ელექტრიზაცია, მასაჟი, აცრა და ნემსის გაკეთება.
სამკურნალოში ღამითაც იმყოფება მორიგე ექიმი.
მისამართი: ირაკლის ქუჩა № 6, გუზარხოსის მოედანთან, ტელეფონი № 9—83.
სამკურნალოში ყოველთვის იმყოფება მორიგე ექიმი. 2178

ექიმ ნანახარდიანის პირველი კერძო სამკურნალო.
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ ყოველ დღე (გარდა კვირისა) დილით:
„606“ და „914“ 11—12 ს.
ა. ა. ნანახარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)
ბ. ნ. [illegible]: 10—12 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
მ. გ. [illegible]—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს 12—1 ს.
დ. ი. ჯაფარიძე: 10—11 ს. ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი.
მ. მ. ბენიაშვილი: 10—12 ს. ყურის ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
ნ. გ. [illegible]—11—12 [illegible] ბავშვთა ავადმყ.
ა. ა. ტერ-გრიგორიანცი, 12—1 ს. შინაგანი.
რჩევა-დარიგება 3 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგეობით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნანახარდიანი.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი
„სახალხო საქმე“
ფასი: თვეში 10 მან., ნომერი ღირს პროვინციაში და ტფილისში 50 კაპ., რკინის გზის სადგურებზე 60 კ. განცხადება: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვ. 60 კაპ., უკანასკნელ გვ. 40 კაპ. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. ხელის მოწერა და განცხადება მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველ დღე დილის 9—3 საათამდე, სასახლის ქუჩა, № 6, ფოსტის ყუთი 190, ტელეფონი 12—39.